## „ფოტოგამოფენა „სიჩუმის რეზოლუცია“
## (27 სექტემბერი 2018)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ფინანსური მხარდაჭერით და ფონდის „არტექო“-ს ორგანიზებით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში  ფრანგი ფოტოდოკუმენტალისტის ორელიენ ვილეტის გამოფენა „სიჩუმის რეზოლუცია – აფხაზეთი” გაიმართა.

აღნიშნული ფოტოგამოფენის მოწყობის მიზანი იყო, საერთაშორისო საზოგადოებითვის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დღეს არსებული რეალობის,  მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობის და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის ფოტო-პრეზენტაციის ფორმით მიწოდება.

გამოფენა გაიმართა როგორც ქალაქ თბილისში, ასევე ჰააგასა და ბრიუსელში.